5?2/2
1948

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო."

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 9 1948

დილა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 9

სექტემბერი 1948

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩო თაობავ, ჩვენო იმედო!

თქვენ იცით, რომ დიდი ქართველი მწერალი, დავით გურამიშვილი ცხოვრობდა ასორმოცდაათი წლის წინათ, მას სწავლაზე ასე აქვს ნათქვამი: „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

ამას გვასწავლიდა დიდებული პოეტი, მაშინ, როდესაც მისი საყვარელი საქართველო იწეწებოდა გარეშე დამპყრობლებისაგან და შინაური მოძალადეებისაგან, როდესაც ხალხს სწავლისათვის არც კი ეცალა.

დღეს კი, ჩემო პატარებო, თქვენთვის დადგა დრო სწავლისა:—საცაა თქვენი სკოლის კარები გაიღება და სიცოცხლით აღსავსენი შეხვალთ შიგ, რომ დაეუფლოთ სხვადასხვაგვარ ცოდნას, ცხოვრების სიბრძნისმეტყველებას.

და რა ბედნიერები ხართ თქვენ!

თქვენთვის, ნორჩი თაობისათვის, ჩვენს დიად ქვეყანაში გზა ხსნილია ყოველმხრივ,—სწავლაში თუ შრომაში. თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, იფრინოთ ცაში თანამედროვე სწრაფმავალი თვითმფრინავებით და იცუროთ ზღვაში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხომალდებით.

სწავლაში უნდა იყვეთ ბეჯითნი, ხოლო შრომაში გამრჯენი.

არ დაივიწყოთ დიდი ლენინის ანდერძი: „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!“.

თუ ყოველი თქვენგანი ჩაუფიქრდება ამ ძვირფას დარიგებას, ეს ძალიან კარგი იქნება.

სწავლის დროს შეიძლება შეგემთხვეთ რაიმე სიძნელეები, მაგრამ არ უნდა შეუშინდეთ, პირიქით უნდა გადალახოთ.

სწავლა ჩვენი მეგობარია, იგი ჩვენთვის ყოველთვის ძვირფასი და ტკბილია.

შალვა დადიანი

ანდრია ალექსანდრეს-ძე
ქლანოვი

4507

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის ხსოვნას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31 აგვისტოს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობდა ამხანაგ ჟდანოვს და მხურვალედ უყვარდა იგი — ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი შვილი, დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი საბჭოთა ბავშვების შესანიშნავი მეგობარი იყო. მიუხედავად იმ უზარმაზარი მუშაობისა, რომელსაც ანდრია ალექსანდრეს-ძე ეწეოდა, როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იგი ყოველთვის პოულობდა დროს ბავშვებზე საზრუნავად.

ბევრს, ლენინგრადელ პიონერთა წინა თაობიდან, ალბათ კარგად ახსოვს ის დღე, როცა შესანიშნავი საჩუქარი — პიონერთა სასახლე მიიღო; ანდრია ალექსანდრეს-ძის მითითებით ლენინგრადელ პიონერებს გადაეცათ ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო შენობა — ყოფილი სამეფო სასახლე. შემდეგში, ამხანაგი ჟდანოვი არაერთხელ სტუმრებია პიონერებს თავიანთ მშვენიერ სასახლეში და ყოველთვის ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ გაეხადა ეს სასახლე კიდევ უფრო მოწყობილი მუშაობისა და დასვენებისათვის.

ანდრია ალექსანდრეს-ძეს ყოველთვის აინტერესებდა პიონერების ცხოვრება, სწავლა და დასვენება. დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბავშვების შემოქმედებას. ლენინგრადელი პიონერები ხშირად ხედავდნენ ანდრია ალექსანდრეს-ძეს თავიანთი თვითშემოქმედების ზეიმებზე. იგი სიამოვნებით ათვალიერებდა ბავშვების ნახატებს, მათი ხელით გაკეთებულ მოდელებს, ისმენდა მათს ლექსების კითხვას და სიმღერას.

„თვალწარმტაცი ბაღის ყვავილებივით იფურჩქნება ჩვენი ბავშვების ნიჭი და უნარი სტალინური მზრუნველობის მზის ქვეშ“. — ამბობდა ანდრია ალექსანდრეს-ძე.

მას მუდამ სწამდა თქვენი, სჯეროდა, რომ ძლიერი, გამბედავი და პატიოსანი შვილები ეზრდებით სამშობლოს. „რა პირდაპირი და თამამი თვალებით გაჰყურებენ ჩვენი ბავშვები ქვეყნიერებას“, — ამბობდა სიამაყით ანდრია ალექსანდრეს-ძე. „მათთვის ბრძოლით მოპოებულია გზა-ხსნილი მომავლისაკენ. რა მშვენიერი ადამიანები გაიზრდებიან ჩვენი ბავშვები. დარწმუნებული ვარ, ისინი კეთილსინდისიერად დაასრულებენ იმ საქმეს, რომელსაც უფროსი თაობა ეწევა“.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის ნათელი სიცოცხლე მისაბაძი მაგალითი იქნება საბჭოთა ბავშვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაწია გმირი

ცნობილი ქართველი მწერალი, აღექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წელს შეძღებული მემამულის ოჯახში. პატარა აღექსანდრემ ბავშვობიდანვე შეიყვარა ჩაგრული მთიელი გლეხ-კაცობა. როდესაც წამოიზარდა, მიატოვა მამამისის მდიდრული ოჯახი, ხელში მეცხვარის ჯოხი აიღო და რამდენიმე წელიწადი უბრალო მწყემსებთან ერთად გაატარა მთაში; ხალხს დაუახლოვდა და მათს ჭირსა და ღხინს იზიარებდა.

სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, აღექსანდრე ყაზბეგმა კიდევ უფრო მეტად შეაქცია ზურგი გაბატონებულ საზოგადოებას, რომელსაც მისი მამის ოჯახიც ეკუთვნოდა, და თავისი ბრწყინვალე კალმით ბრძოლა გამოუცხადა მას.

ჩვენო პატარა მკითხველებო, დრო მოვა, გაიზრდებით, საკუთარი თვალით წაიკითხავთ და სკოლაშიაც ისწავლით ყაზბეგის შესანიშნავ ნაწარმოებებს: „მამის მკვლელს“, „ელგუჯას“, „ხევისბერ გოჩას“ და მრავალ სხვას. ამ წიგნებით გაიგებთ თქვენ თუ რა აუტანელი იყო ძველ დროში ცხოვრება, ეს წიგნები გასწავლიან თქვენ: სიმართლის, ვაჟკაცობისა და მეგობრობის სიყვარულს.

წელს შესრულდა ასი წელი აღექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან. ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით აღნიშნავს ამ თარიღს.

ქვემოთ ვათავსებთ აღექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას—„პაწია გმირი“

ეს მოთხრობა მწერალს დაუმთავრებელი დარჩა. იგი პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“ 1904 წელს.

ერთ სასწავლებელში ძალიან ბევრი უმაწვილები იყვნენ და კარგადაც სწავლობდნენ; მათში მხოლოდ ორი მოწაფე განსხვავდებოდა; ისინი სხვებზედ უფროსები იყვნენ და პატარა ბიჭებზე მეტი ესმოდათ, მაგრამ ორივე დიდგულობდა და თავის ამხანაგებთან ამპარტავნობდა.

ერთ მათგანს ერქვა პეტრე, მეორეს გიგლა და ორივენი სკოლაში ერთად დადიოდნენ. გიგლა პეტრესაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ამხანაგებს სასაცილოთა ხდიდა და მასხარად აიგდებდა ხოლმე.

იმავე სკოლაში იყო ერთი პატარა მოწაფე ტატო; იმის სიდინჯე, სიწყნარე და მეცადინეობა ყველასათვის სამაგალითო იყო.

ერთ დილით, როდესაც შეგირდები სასწავლებელში მიდიოდნენ, ნახეს, რომ ტატოს ერთი ძროხა გზაგზა მოჰყავდა.

— ტატოს ძროხა მოჰყავს, ტატოსა! — დაიძახეს იმათ მხიარულად და გაიქცნენ პატარა ბიჭისაკენ.

მოყიჟინეთა შორის გიგლაც იყო, ის ყველაზედ მეტს ხარხარებდა.

ეს ისეთი შემთხვევა იყო, რომ გიგლა პატარა მეძროხეს მასხარად აუგდებელს არ დასტოვებდა.

როდესაც ბავშვები ტატოს მიუახლოვდნენ, გიგლამ ხარხარით უთხრა მეძროხეს:

— შენ, ეი! რძეს როგორა ჰყიდი? შენი ძროხის რქები ოქროსი ხომ არ არის?.. ერთი შეხედეთ, შეხედეთ იმის წალებს, სწორეთ ქალაქში შეკერილს არა ჰგავს?!

ტატო მიხვდა, რომ მასხარად იგდებენ და დასცინიან; მას წალები კი არა, კოხუჯები*) ეცვა და მის ძროხას არამც თუ ოქროს რქები არა ჰქონდა, არამედ სრულიად დოლა (ურქო) იყო.

ტატო არ გაჯავრდა მათ ხუმრობაზედ; შეხედა გიგლას, გაიღიმა, ჩაიქნია ხელი და ძროხა სასოფლო საძოვრისაკენ მიაბრუნა. პატარა ბიჭმა ძროხა იმ მინდორზე გაუშვა, სადაც სოფლის საქონელი ძოვდა და ის იყო გამობრუნდა სკოლაში წასასვლელად, როდესაც სოფლის მეძროხე მოვიდა მასთან და ჰკითხა:

— ბიჭო, ე ძროხა, რომ საძოვრად დაგყავს, რატომ სამეძროხოს არ მაძლევთ?

— სამეძროხო რაში უნდა მოგცენ? ძროხა მე მომყავს და მე მომყავს ხოლმე და საძოვარი კი სოფლისა არის!

— მეძროხისათვის ერთი პინა**) პურია დაწესებული და ის ვერ გამოგიმეტებიათ, შე კაი კაცო? — უთხრა მეძროხემ და დაუმატა: — აბა, მაშ მე თვალყურს არ ვადევნებ თქვენს ძროხასა და თუ დაიკარგა ჩემი ბრალი არ იქნება...

— დღე კი არსად წავა და ღამე აქ არ დავტოვებ, — უპასუხა პატარა ტატომ და სკოლისაკენ გასწია.

ასე დაჰყავდა ეს ძროხა ტატოს ყოველ დღე და გაკვეთილებსაც არ აკლდებოდა.

არავინ არ იცოდა ეს ძროხა ვისი იყო, საიდან მოჰყავდა პატარა მოწაფეს და სად მიჰყავდა.

*) კოხუჯებს მოხევეები ქალამნებს უწოდებენ.
**) პინა — დიდი ჯამი

2.

ასე მიდიოდა ტატოს ცხოვრება კარგა ხანს; ის არა ღალატობდა თავის ძროხას და მისი ამხანაგები კი არ იშლიდენ ამ ბიჭის მასხარად აგდებას.

ყველაზედ მომეტებულად არ უსვენებდა გიგლა, რომელიც შეძლებულის, მდიდრის დედმამის შვილი იყო და ძროხის უკან დევნა სათაკილოთ მიაჩნდა.

ერთ დღესაც ჩვეულებისამებრ აუტყდნენ ტატოს. გიგლა ეუბნებოდა:

—შენი ძროხა არა გყავს და სხვის ძროხას იმიტომ დასდევო... მოჯამაგირეთ დამდგარხარო. ტატო იცინოდა, მათ სიტყვებს ხუმრობად სთვლიდა, მაგრამ იქამდის გადაეკიდნენ, რომ სანამ არ აატირეს აღარ დაეხსნენ.

მათს ლაპარაკს მასწავლებელმა ყური მოჰკრა. გიგლა დატუქსა, ტატოს დაუყვავა და ყველანი დამშვიდდნენ. მაგრამ მასწავლებელი კარგი კაცი იყო, თავისი მოწაფეები ისე უყვარდა როგორც მშობელს, და მამასავით უვლიდა, მან განიზრახა შეეტყო მეცადინე და მუყაითი მოწაფე, პატარა ტატო, მართლა ისე ღარიბი იყო, რომ სკოლაში სიარულის დროს მეძროხეთაც დგებოდა, თუ სხვა რომელიმე მიზეზით დასდევდა სხვის ძროხას? კეთილ მასწავლებელს სურდა ტატოს ცხოვრების შეტყობა კიდევ იმისთვის, რომ თუ მართლა ღარიბი და გაჭირვებული იყო, ეშველა რითიმე.

მას ტატო იმიტომ უფრო უყვარდა, რომ არც სწავლასა სცდებოდა და არც მუშაობას ზარობდა.

იმ საღამოს, როდესაც საქონლის შინ გარეკის დრო მოვიდა, მასწავლებელმა აიღო ჯოხი და [illegible] და სოფლის საძოვრისაკენ.

ურიცხვი საქონელი, იალაღზედ გასული, გაფანტულიყო და ძოვა-ძოვით შინისკენ მოდიოდა. ძროხებს თითქოს აგონდებოდათ თავთავიანთი პატარა ბოჩოლები, რომელთა გასაძღომად რძე მოემზადებინათ, და დროგამოშვებით გაბღაოდნენ. იქნება მათ ისიც კი ეგონათ, რომ ხმას მიაწვდენდნენ თავიანთ შვილებს და დედის მოშორებით დაღონებულებს ანუგეშებდნენ.

ნახირში ჩარეულიყვნენ მოუსვენარი თხები, თავიანთის ცმაცუნა წვერებით და ხმალს მიმსგავსებულის გრძელის რქებით, დარბოდნენ და კიკინებდნენ.

გამოიარა ნახირმა, მეძროხემ, თავისი ტლაშუნა შოლტით და მისმა კუდა-ძაღლმა ბროლიამ. მათ უკან მოსდევდა ტატო, რომელსაც პატარა სახრე ეჭირა იღლიაში და თავისი დოლა ძროხა მოჰყავდა.

მასწავლებელი იქვე მდგარს ხეს მოეფარა და მხოლოდ მაშინ გამოვიდა თავისი საფარიდან, როდესაც ტატო მას გასცდა.

პატარა მწყემსი ჯერ გზას დაჰყვა, შემდეგ გადაუხვია მას და სოფლის განაპირას, ერთს დაძველებულ ქოხთან მივიდა.

მასწავლებელი, რომელიც უკან მისდევდა, აქაც მიიმალა და ისე უყურებდა·

—დარეჯან, ძროხა მოვიყვანე,—შესძახა ტატომ.

ქოხიდან გამოვიდა ვიღაც მოხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებული დედაკაცი, გამხდარი და ფერწასული. ეტყობოდა რომ ავადობდა და ძალიან ღარიბიც უნდა ყოფილიყო. მას დაკონკილი ტანისამოსი ეცვა, სახე თუმცა დანაოჭებული ჰქონდა, მაგრამ შეხედულობაში და შავ თვალებში სრული გულკეთილობა ეტყობოდა.

—გაიხარე, შვილო,—გამოსვლის უმალ უთხრა მოხუცმა,—ამ ძროხას რამდენი ღერი ბალახიც შეუჭამია, იმდენი წელიწადი შეგემატოს, ისე შენმა გულმა გაიხაროს, როგორც შენ მივლი და მახარებ ქვრივ-ოხერსა.

—დედი, შეშა ხომ არა გაქვს, ან საჭრელი?-ჰკითხა ტატომ.

—შენ კი გაიხარე, შენ შემოგევლოს ჩემი თავი!..არა შვილო, არა... შეშაც გამოგველია.

—ხვალ ტყეში წავალ და ერთ კონას მოგიტან.

– არა, შვილო, არა შენ გენაცვალე!—შეშინებით და მზრუნველი ხმით უთხრა მოხუცმა.—ტყეში არა გეტკინოს—რა, თორემ დედაშენის საცოდაობით დავიწვი...

ნახატი იოსებ გაბაშვილისა

ს ა ნ ა პ ი რ ო

აქ ჭაობი იყო წინად,
ბაყაყების იყო ბინა.
ბაყაყები ყიყინებდნენ:
—კრრუუ ეუა, კრუუ ეუა...
მათმა აყი-ყი-ყინებამ
ეურთასმენა ვააურუა.
ჭაობები ამოაშრეს,
ბაყაყები აბა თუ ჩანს!
ჭაობების ნაცვლად ახლა
გაიყვანეს კოხტა ქუჩა.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ყაზბეგი

ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის, სახალხო მხატვრის **უჩა ჯაფარიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ ა დ ი რ ო ბ ა

ნახატი შალვა მაყაშვილისა

ნადეჟდა კრუპსკაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი პირველი დღე სკოლაში



ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია—ერთი უძველესი ბოლშევიკთაგანი, ამხ. ვ. ი. ლენინის ერთგული მეგობარი და თანაშემწე იყო. მთელი თავისი სიცოცხლე ნადეჟდა კრუპსკაიამ რევოლუციას, ჩვენს ძვეყანას, ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს შეალია.

ნადეჟდა კრუპსკაიას ეს მოგონება მოთავსებული იყო ჟურნალ „მურზილკა"-ში.

ექვსი წლისა რომ შევსრულდი, მაღე უკვე სკოლაში უნდა მევლო და ამით ძალიან ვამაყობდი. რა მოუთმენლად ველოდი სკოლაში წასვლის დღეს! განსაკუთრებით იმიტომ მინდოდა წასვლა, რომ იქ მოამცემდნენ სურათებიან წიგნს და მასწავლიდნენ წამეკითხა შიგ რა სწერია.

... მე უკვე „ი"-ს წერა ვიცოდი. შემეძლო მეანგარიშა რას უდრის 2+2 და ლოგინის დახატვაც მეხერხებოდა.

როგორც იქნა, სკოლაში წასვლის წინადღემაც მოაწია. საღამოთი შვიდ საათზე დამაძინეს. ერთხელ კიდევ შევამოწმე სწორად მუშაობდა თუ არა ჩვენი საათი, მეათეჯერ დავავალე დედას დილით ადრე გავეღვიძებინე და როგორც იქნა ჩამეძინა. სიზმარში ვხედავდი სასკოლო დაფას და ფერად ასოებს, რომლებიც სასაცილოდ მეჭყანებოდნენ.

დილის ექვს საათზე უკვე ფეხზე ვიყავი, შვიდის ნახევარზე, საღლესასწაულო კაბით გამოწყობილი, კარებში ვიდექი და ყველა გამვლელს ვუამბობდი რომ მე დღეს სკოლაში მივდივარ.

დედამ ხელი ჩამკიდა და გავეშურეთ. მგონია ფეხს მიწას არ დავაკარებდი ისე გავქანდებოდი, დედას რომ არ ვყოლოდი ხელმოკიდებული. დედას მხრებზე რუხი შალი წამოესხა და შევამჩნიე, რომ შალქვეშ რაღაცას მაღავდა. მაგრამ არ შევკითხებივარ, მე სულ სკოლა მიდგა თვალწინ.

..მე მერხზე დამსვეს, დედა კი სახლში წავიდა. სხვა ბავშვებიც მოიყვანეს; ზოგიერთი დედის წასვლაზე ტიროდა და ჰყვიროდა.

ზარის ხმა გაისმა. მასწავლებელი სკამზე დაჯდა, სათვალეები გაიკეთა და ჩვენი სახელებით გვიძახებდა. მე ძალიან გავოცდი. ნუთუ მან ყველაფერი იცის? საიდან იცის ჩვენი სახელები? ვერც კი შევამჩნიე, რომ სიიდან გვიძახებდა.

როდესაც ამოძახება დაამთავრა, შეგვეკითხა, თუ ვინ რა ვიცით. ატყდა ხმაური. ყველა ერთად ყვიროდა, გამოირკვა რომ „ი"-ს წერა იცოდნენ, 2+2-ის გამოყვანაც შეეძლოთ, მაგრამ ლოგინის დახატვა არავის შეეძლო. ზოგმა მაგიდის, სკამის და ნაძვის დახატვა იცოდა, მაგრამ ცხოველი კი არ შეეძლო დაეხატა. დაფასთან რომ გამიძახეს და ხელში ცარცი მომცეს მე ძალიან დავირცხვინე, მაგრამ მაინც გაბედულად მოვხაზე სამკუთხედი, შუაში წერტილი დავსვი და თან ვთქვი: „აი პატარა სახლი, შიგ ერთი ქალი ცხოვრობს, იმას

პატარა გოგო ჰყავს, დედამ გოგონა რძის საყიდლად გაგზავნა". ამით მე უკვე ლორის თავი გამოვსახე და გათამამებული განვაგრძობდი: „აი, პატარა გოგო მთაზე ადის, რძეს ყიდულობს, და ქვევით ჩამორბის". ამ სიტყვებზე, მე ცარცით მრუდე ხაზი გავავლე, ჯერ ზევით, მერე ქვევით—გამოვიდა ლორის ზურგი „უცბად გოგოს ხელიდან რძის ქილა გაუვარდა, რძე მიწაზე დაიქცა და გოგოს კაბაზეც დაესხა". მე ლორს კუდი დავუხატე, რომელიც დაღვრილ რძეს გამოხატავდა. „გოგონა სახლისაკენ ტირილით გაეშურა; მაგრამ ეშინოდა, რომ დედა დასჯიდა, ამიტომ არ ჩქარობდა და პირდაპირ კი არ წავიდა; მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მოუარა".

ამასთან ერთად მე დავხატე ლორის ფეხები, ვითომ ეს მოსახვევები და გვერდის ქუჩები იყო. „აი, მივიდა გოგო სახლში, დედამ წარბები, მოიღუშა, და უთხრა: ეჰ, შე პატარა ლორუკავ!" —აი, ლორიც გამოვიდა! მართალია თაგვს უფრო მიაგავდა, ვიდრე ლორს, მაგრამ ჭალარა მასწავლებელმა გადაიკისკისა და ბავშვებმაც გაიცინეს, მე კი ამაყად დავბრუნდი ჩემს ადგილზე.

გაკვეთილი დამთავრდა, მასწავლებელმა გვითხრა, რომ საკუჭნაოში არის ქიშმიშის ხე და მის ტოტებზე ფოთლის მაგიერ ქაღალდის პარკები იზრდებაო. თან გამოგვიცხადა: ეხლა ქვევით ჩავა და ჩვენთვის პარკუჭებს მოკრეს — „მაგრამ მხოლოდ ის კარგი ბავშვები, რომელნიც სკოლაში ხალისიანად მოვიდნენ მიიღებენ პარკებს".—ეს გვითხრა და წავიდა.

მალე შემოგვიტანეს ტკბილეულით გავსებული ქაღალდის ჭრელი პარკები.

მასწავლებელმა გვარებით ამოგვიძახა და თითო პარკი ყველამ მივიღეთ.

არა, ყველამ არა! ორ ღარიბ ბავშვს არაფერი ერგოთ, თუმცა ისინი „სკოლაში ხალისით მოვიდნენ", ხოლო ჩემს გვერდით, ოღია გროსი იჯდა, ის გაკვეთილის გახმავლობაში სულ ღრიალებდა და ყვიროდა, რომ სკოლაში ყოფნა არ უნდოდა. მას ყველაზე დიდი პარკი მისცეს.

ღარიბი მშობლების შვილებს კი პატარა პარკები ერგოთ; მერე გავიგე, რომ იმ ორ ბავშვს არა ჰყავდა დედმამა, რომლებიც მათ ასეთ ჰარკებს უყიდიდა. სხვები რომ მხიარულობდნენ, ისინი ტიროდნენ.

როდესაც წამოვიზარდე, მე ბევრჯერ მიფიქრია: რა უსამართლობაა, ზოგს ყველაფერი თავზე საყრელი აქვს და ზოგს კი არაფერი გააჩნია, და ვცდილობდი გამეგო: საიდან იყო სიმდიდრე და სიღარიბე და როგორ მოვიქცეთ, რომ ყველას კარგი ცხოვრება ჰქონდეს მეთქი.

მე ბევრი ვისწავლე და ახლა უკვე ვიცი.

ნახატი გიორგი როინიშვილისა

მოჩხუბარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს დიდებულ მწერალს, ალექსანდრე ყაზბეგს, პატარაობისას მეტსახელად მოჩხუბარიძეს ეძახდნენ.

პატარა სანდრო თერგის ნაპირას უზარმაზარ ლოდზე იჯდა და დაფიქრებული გასცქეროდა დარიალის ხეობას. გააფთრებული, ჩქარი მდინარე ღრიალით მიაქანებდა შფოთიან ტალღებს, მაგრამ სანდროს თერგის ხმაური თითქოს არ ესმოდა. მუხლებსთავებზე გაშლილი რვეული დაედო, რომელშიც ხანგამოშვებით რაღაცას იწერდა.

სანდრომ თვალი მოჰკრა თერგის პირას გზაზე მიმავალ ცხვრის ფარას, რომელსაც სამი მწყემსი მიერეკებოდა. ცხვრის ფარა თვალს რომ მიეფარა, სანდრომ პატარა გოგონა დაინახა, მას ხელში ბატკანი აეყვანა და სოფლისკენ მიჰყავდა. გოგონას უჭირდა მსუქანი ბატკნის ზიდვა, მაგრამ ძირს მაინც არ სვამდა, იჩქაროდა, თან უკან-უკან იხედებოდა.

„ეს ხომ ჩვენი მეზობლის გოგოა, ძიძია ჰქვია“, — გაიფიქრა სანდრომ და უცებ შენიშნა, რომ ძიძიას უკან ვიღაც მოზრდილი ბიჭი მოსდევდა.

„ეს ბიჭი გირგოლაა, ნეტავ რა უნდა, რად ასდევნებია ძიძიას?“ — კვლავ გაიფიქრა სანდრომ.

ძიძია იმ ლოდს გაუსწორდა, რომელზეც სანდრო იჯდა. დაქანცული შეჩერდა, უმწეოდ მიმოიხედა, მაგრამ სანდრო ვერ შენიშნა.

გირგოლა ძიძიას წამოეწია. ბოროტი, ჩასისხლიანებული თვალებით შეაჩერდა და გოგონას მკვახეთ ჰკითხა:

— ვისია ბატკანი, ქალავ?

— ჩვენია, წელან ფეხი მოიტეხა, ფარას ჩამორჩა, ახლა შინ მიმყავს! — უპასუხა შეშინებულმა ძიძიამ და წასვლა დააპირა.

— მოიცა!..

მრისხანედ შეუტია გირგოლამ, — იქნებ ჩვენია, იქნებ ჩვენს ფარას ჩამორჩა?

— რას ამბობ, გირგოლავ, რას?..

გაოცებით წამოიძახა ძიძიამ და ყუჟუნა, ცისფერი თვალები ცრემლით აევსო.

სანდრომ წამოიწია. გული სწრაფად უცემდა. დაჩაგრული გოგონა შეებრალა. მზად იყო გადამხტარიყო და ყელში სცემოდა მოძალადეს, მაგრამ გირგოლა დიდი ბიჭი იყო, ტანადი და ღონიერი; სანდრო ყოყმანობდა.

გოგონამ ღონე მოიკრიბა, იმ ხეობისკენ გაიქცა, საითაც წელან ცხვრის ფარამ შეუხვია და ხმამაღლა დაიკივლა:

— მიშველეთ... მიშველეთ... კობავ, ვაჟიავ, ელგუჯავ, მიშველეთ!

გირგოლამ ისკუპა, ორი ნახტომით წამოეწია და გაქცეულ გოგონას ხელი დაუნდობლად ჰკრა. გოგონამ წაიფორხილა და ღორღიან გზაზე გაიშხლართა.

სანდრომ მეტი ველარ მოითმინა, ლოდიდან გადმოხტა და გირგოლასკენ გაიქცა.

გირგოლამ ფეხმოტეხილი ბატკანი ხელში აიყვანა და წასვლა დააპირა.

— მოიცა, გირგოლავ, მოიცა!

მიაძახა სანდრომ და გირგოლას წინ გადაუდგა. გირგოლა ქშენით შეჩერდა. სანდრო ყაზბეგი რომ იცნო, სახეზე შეკრთომა და წყენა აესახა, მაგრამ მაინც ჯიუტად უპასუხა:

— რა გინდა, ბატონიშვილო?

—ვისია ბატკანი?

წამოიძახა სანდრომ და ჯერ გირგოლას შეხედა, შემდეგ აცრემლებულ ძიძიას.

—ჩვენია, ლომისის მადლმა, ჩვენი. წელან ხევში გადაგვივარდა და ფეხი იტკინა!

წამოიძახა იმედმოცემულმა ძიძიამ.

გირგოლა ჩუმად იდგა და მიწას დაჰყურებდა.

სანდროს ჯავრი ყელში მოაწვა, უცნაური ხმით დასჭყივლა გირგოლას:

—დასვი მიწაზე ბატკანი და აქედან დაიკარგე...

გირგოლამ თავი მაღლა ასწია, ბრაზით კბილები დააკრაჭუნა და გესლიანად თქვა:

—ყაზბეგიანთი რომ ხარ, იმითა დიდგულობ, არა?..

სანდრო უარესად აენთო. მოძალადეს მიეჭრა და მარცხენა ყბაში მუშტი შემოჰკრა.

ამ დროს ხეობიდან სირბილით მომავალი ორი მოხევე ბიჭი გამოჩნდა. გირგოლა შეტორტმანდა, ბატკანს ხელი უშვა და სანდროსაკენ გაიწია, მაგრამ სახეანთებული სანდრო და მოახლოვებული ბიჭები რომ დაინახა, უკან გაბრუნება იკადრა.

—დაიცა, დაიცა, არ შეგარჩენ, არა! ახლავე ყველაფერს მოვახსენებ თქვენებს!... წამოიძახა მან და სოფლისკენ მოჰკურცხლა.

ბავშვები ერთხანს ჩუმად იდგნენ.

მერე ყველას გაეცინა. რომ დამშვიდნენ, კობამ წამოიძახა:

—სანდრო, ძმაო, კაი ბიჭი ყოფილხარ... თუ გვიკადრებ, ძმად გავიფიცნეთ!

ბიჭები ძმად გაიფიცნენ და მალე თავთავის გზაზე წავიდნენ.

სანდრომ სახლს რომ მიაღწია, წინ შეშფოთებული დედა შეეგება.

—რა მოხდა შვილო, რად იჩხუბე? ამ საძაგელ გირგოლას თავი რად გაუტეხე?!

შეეკითხა მკაცრად იგი. სანდრო სდუმდა, არაფერს ამბობდა.

—აი, შე მოჩხუბარიძევ, შენა!..

დაუყვავა დედამ. სანდრო კვლავ სდუმდა. თავის ფიქრს მისცემოდა.

მცირეხნის შემდეგ სანდრომ დედას თავისი დღიურების რვეული მიუტანა. დედამ რვეული გადაფურცლა და წაიკითხა:

„დედა, საყვარელო დედა... მოჩხუბარიძე კი არა, რაც გინდათ დამარქვით, მაგრამ გირგოლა საძაგელი ბიჭია, მას იმ მუშტზე მეტი ეკუთვნოდა... ძიძია ჩემი დობილია. კობა, ვაჟია და ელგუჯა ჩემი ძმადნაფიცები არიან, მე ისინი მიყვარან, მათთვის თავს გავწირავ...

დედას სიხარულით აუთრთოლდა გული. სანდროს თავი გადაუწია და ჭკვიან თვალებში აკოცა.

—კალმით, ჩემო მოჩხუბარიძევ, კალმით იჩხუბე, მუშტი შენი საქმე არ არის!

ჩურჩულებდა ის და საყვარელ შვილს გულში იკრავდა.

„დიახ, დიახ“ — ფიქრობდა სანდრო— „უფრო მეტად შევიყვარებ ძიძიას, კობას, ელგუჯას, ვაჟიას... გირგოლას კი“...

სანდრომ დედის დარიგება შეასრულა. ჩხუბი არავისთვის აუტეხია, პატარა, ბასრი კალამი სიკვდილამდის ხელიდან აღარ გაუგდია, მაგრამ მეტსახელად მაინც დედისაგან დარქმეული „მოჩხუბარიძე“ შერჩა.

გიორგი შაგბერაშვილი
ნახატი შალვა ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჯითი თინა

თინა ადრე წამოხტა,
დაიბანა ხელპირი,
ფისო კნავილ-კნავილით,
საუზმისთვის შესტირის
შემდეგ დაჯდა, ჩაფიქრდა,
“დედაენა“ გაშალა,
გადიკითხა ნასწავლი,
გულმოდგინედ, ჩქარ-ჩქარა.
ადგა, მიდის სკოლაში,
ფისო მას უთვალთვალებს,

რადგან თავზე ჩიტივით
თეთრი ბანტი ფართქალებს.

გიორგი ლეჟავა

პაწაწინა წიწილა

პაწაწინა წიწილამ
ასე დაიწიწინა:
,,პატარა ვარ, ყვითელი,
სათუთი, ხმა-წინწილა,
ნეტავ, ფეტვის მარცვალი
სულ მუდამ მაკენკინა,
და დედიკოს ფრთების ქვეშ
შემსვა, ტკბილად მამინა.“

ილია სიხარულიძე

ბოჩოლა

რას დაკუნტრუშებ ბოჩოლავ,
რა გახალისებს, მითხარი,
ის გიხარია, დედიკოს
რომ დაუცალე ჯიქანი?
თუ ქებ, სადმე იპოვნო
ცელქი, პატარა თიკანი?
წამო, ღელესკენ წაგიყვან,
შენი მმობილიც იქ არი.

ქ. გომიაშვილი

დ ე დ ა ე ნ ა

მზით გაშავებული ბავშვები სკოლის ეზოში თავს იყრიდნენ და კლასების მიხედვით ჯგუფ-ჯგუფად დგებოდნენ.

ერთ ჯგუფს გივიც შეუერთდა. მხიარულად მიესალმა ამხანაგებს. გივის თან დასდევდა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც გაცეცებული უცქეროდა ხალისიანად მოლაპარაკე ბიჭებს.

— გივი, ეს პატარა ვინ არის?

—ჩემი ძმაა. დღეს პირველად მოვიყვანე სკოლაში. ჯერ არავის იცნობს...

— რა გქვია?—შეეკითხნენ ბიჭუნას.

— რამაზი.

—რამაზ, ეს რა წიგნი მოგიტანია?

ყველა ეკითხებოდა რამაზს. პასუხსაც ყველას აძლევდა, მაგრამ ცალი ხელი მაინც გივის ხალათზე ჰქონდა ჩაჭიდებული. ეშინოდა, არსად გამეპაროსო.

პირველი ზარი აწკრიალდა. ახლა უფრო მეტი ჟრიამული შეიქნა. გაისმა მასწავლებლების ხმა:

—მეორე კლასელები—ჩემთან.

—მესამე კლასელები —ჩემთან.

პირველი კლასის მასწავლებელი თავის უცნობ მოწაფეებს აგროვებდა. გივიც პატარა ძმით მისკენ გაეშურა.

—პატივცემულო მასწავლებელო, ჩემი ძმა მოვიყვანე. პირველ კლასშია მიღებული.

—ჰოო, ეს ჩემთან იქნება! — თქვა ღიმილით აღმზრდელმა, რამაზი გვერდით დაიყენა და ალერსით უთხრა:

— შენ დღეიდან ჩემი მოწაფე იქნები. ხომ გინდა სწავლა?!

რამაზმა თავი დახარა და პასუხი ველარ მოახერხა.

ნინომ, რამაზს, პატარა მხრებზე ხელი გადახვია, თან გაიყოლა, პატარები საკლასო ოთახში შეიყვანა და თავისი ადგილები მიუჩინა. უცნობი ბავშვები გაკვირვებული უცქეროდნენ ერთმანეთს.

—მეც ამისთანა წიგნი უნდა ვიყიდო?—შეეკითხა რამაზს გვერდით მჯდომი პატარა ბიჭი.

—ჰო! —უპასუხა რამაზმა.

მასწავლებელმა, ბავშვები მერხზე დასხა,— წინ გამოვიდა და პატარებს უთხრა:

—როდესაც თქვენსავით პატარა ვიყავი, მასწავლებელმა მეც ასეთ პატარა მერხზე მომათავსა. ახლაც კარგად მახსოვს ის პირველი დღე და ეს დღე არც თქვენ დავიწყდებათ. დილით, საკლასო ოთახში მასწავლებელი რომ შემოვიდოდა, ჩვენ ფეხზე ვდგებოდით და ვესალმებოდით, ისიც სიხარულით გვიხრიდა თავს. თქვენც ასე უნდა მოიქცეთ. ხვალ, დილით რომ შემოვალ, აბა, როგორ მომესალმებით?

—სალამი, პატივცემულო მასწავლებელო!

მასწავლებელს გაეღიმა და პატარებს სიხარულით უპასუხა:

—სალამი, ბავშვებო! დასხედით!

პირველკლასელები დასხდნენ.

—თუ რაიმეს თქმა გინდათ, თითი უნდა ასწიოთ; ვინ მეტყვის აქ რა უნდა ვისწავლოთ?

თითი პირველად რამაზმა ასწია:

—აბა, მითხარი!—უთხრა ნინომ.

—„დედაენა“.

—ყოჩაღ, სწორია, „დედაენა“ უნდა ვისწავლოთ. მოუწონა პასუხი მასწავლებელმა.

რამაზმა კმაყოფილებით გადაჰხედა მომავალ მეგობრებს, სუფთა მერხზე „დედაენა“ გაშალა და თავის მასწავლებელს სიყვარულით მიაჩერდა.

ლავრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოპიტია!

— არა, ალვისხეა!

— არც ალვისხეა და არც კოპიტი! — უფრო მუხასა ჰგავს!

ასე აყაყანდებოდნენ ხოლმე პატარები, განგებ აზვიადებდნენ და კამათობდნენ, იცოდნენ მოხუცი აგრონომის ხასიათი: ვერ მოითმენდა, თოხს ჩეროში მიატოვებდა, ლობეზედ გადმოვიდოდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა, ყალიონს გააჩაღებდა და ბეჭედს დასვამდა:

— თელაა, თეთრი თელა!

ასე გაგრძელდა მთელ კვირას. ბოლოს პაპა გიორგი მიხვდა ბიჭების ეშმაკობას; სოფლად ისვენებდნენ საზაფხულო არდადეგებზე, ბოტანიკას სწავლობდნენ სკოლაში და ყველა ჯიშს აბა სად მოიძებდნენ ქალაქ ადგილას.?. ეამა, არ სწყენია, მაგრამ მაინც წარბი შეიკრა:

— აგრე არ ივარგებს, დღეები დავნიშნოთ საუბრებისათვის.

დანიშნეს დღეები: დღეგამოშვებით, ნასადილევს, — აგრილებულზე.

შვინდი, წიფელა, ასკილი, ზღმარტლი, იელი... და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ — საკუთარი თვალით იხილეს, საკუთარი ხელებით მოუჩხრიკეს შტოები, და საკუთარი ყურით მოისმინეს პაპა გიორგის ლექციები.

სწორედ ასე დაარქვეს იმ საღამოებს: პაპა გიორგის ლექციები...

აი, დღესაც პაპა გიორგის ლექცია აქვთ პატარებს: წინ მიუძღვებათ ბერიკაცი, პატარები გუნდად მისდევენ. — მაშ ასე, — ამბობს მოხუცი აგრონომი. — დღეს გეგმით ცაცხვი გვაქვს. არტელის გამგეობის გალავანში ავიდეთ; დიდი, ასი წლის ცაცხვი დგას, — სწორედ ახლა ჰყვავის, — მობერდა და გვიან ჰყვავის, ივნისის ნაცვლად ივლისში.

ათი წუთის შემდეგ ბიჭები დიდი, გაბადრული ცაცხვის ძირში შეჩერდნენ.

მთელ საათს ილაპარაკა პაპა გიორგიმ. კანტორიდან არტელის თავმჯდომარე გამოვიდა, ბავშვებს ღიმილით მიესალმა, ხელი გაიწოდა და უთხრა: — შეხედეთ, გალავნის ირგვლივ პატარა ხეებს, — სამი წლის წინ გადმოვრგეთ, რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო კარგი საჩრდილობელი გვექნება და არტელის კრებებს, სიცხეში, ჩრდილქვეშ ჩავატარებთ.

მოსალამოვდა. გზაზედ სოფლის ნახირი მობლოოდა. პატარა მარინეს სხვაზე მეტად ღია-ყვითლად გაპენტილი ცაცხვი მოეწონა. რიკულებიან აივანზე იჯდა და მასწავლებლის მოცემულ საზაფხულო დავალებას პაპა გიორგის ნაამბობით ავსებდა:

„ცაცხვი ფოთლოვანი, საჩრდილობელი მცენარეა; იტანს ყინვას და გვალვასაც, ორმოცი მეტრის სიმაღლისა იზრდება და ივნისში ღია-ყვითლად ჰყვავის. მრავლდება თესლით, და გადარგულიც ხარობს.

ცაცხვის ყვავილს ფუტკარი ეტანება. თაფლი სურნელოვანი და ნოყიერი იცის. ფიცარი — რბილი, თეთრი და მსუბუქი აქვს, — კარგი გასაშალაშინებელია.

არტელის თავმჯდომარემ თქვა; საერთო მარანში დიდი საწნახელი რომ გვიდგას ცაცხვისა არისო. მე კი ჩემი თვალით ვუყურე როგორ გათალა ბიძია ლადომ ცაცხვის ორომი. ხვალ დილით მამიდა კატო ქადებს სწორედ იმ ორომით ჩაასრიალებს ქვის კეცებში“.

მარინემ რვეულში, ნაწერის ბოლოს, ცაცხვის ყვავილი ჩააკრა. მერე რაღაც გაახსენა ყვავილმა და ქვეშ მიაწერა:

„ცაცხვი მგალობელ ფრინველებს იზიდავს. ყვავილი და მერქანი სამკურნალოდ იხმარება. დედას ძლიერ უყვარს ცაცხვის ჩაი, ხვალ დილით უნდა მოვკრიფო.

ჰო, ქეთო-მასწავლებელსაც მივუკითხავ — გაეხარდება!“

გალაქტიონ მინდაძე

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

გულმკერდამდე სწვდება მხოლოდ
მწვანე ახალუხი;
წინა ასო მოაკელი—
ნაყოფია მუხის,
ადექი და მიუმატე
ერთი სიტყვა სრული,
იგი შრომას გამოსახავს—
ალებაა პურის.
ახლა, ჩემო პაწაწინავ,
გამოვძებნოთ სიტყვა,
საბჭოთაო, რომ გვითქვია,
ისიც მასთან გვითქვამს.
მოდი, წინა ორი ასო
გამოვაკლოთ მასაც,
წინა სიტყვებს მივუმატოთ
და წერტილი დავსვათ.
ლენინური, სტალინური,
და ფოლადის ბარი,
ის პარტიის ახალგაზრდა
თანაშემწე არის.

ა ბ ა, წ ა ი კ ი თ ხ ე თ!

ამ უჯრებში, საათის ისრის მიმართულებით და თანაბარი მანძილის გამოტოვებით, წაიკითხეთ ცნობილი ქართველი მწერლის სახელი და გვარი.

დასაწყის ასოს გიჩვენებთ ისარი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ხან ჭკვიანი, ხანაც ცხარი,
ყველა კაცის გასახარი,
მისგან მუდამ გაკეთდება
თუნდ სადილი, თუნდ სამხარი,

სახელს ოთხჯერ გეუბნები
და პასუხი შენ მითხარი.

შედგენილი ალ. **ყაზბეგის** მიერ

აცანცალა, მაცანცალა,
კომბოსტოსგან სულ გაგვცალა.

შედგენილი ალ. **საჩინოელის** მიერ.

პ ა ს უ ხ ე ბ ი

ჟურნალ „**დ ი ლ ა**“-ს № 5-ში მოთავსებულ გასართობზე

დ ა ე ხ მ ა რ ე თ თ ა მ ა რ ს—ვანოს მიერ მოძრავ ანბანში ასო „**უ**“-ს დაკარგვის გამო გაუგებარი მოთხრობა წაიკითხება ასე:

დიდი მუხის ჩრდილში სანდრო და გურამი თამაშობდნენ. სანდრომ ცხენის ძუა იპოვნა და მეგობარს დაუძახა:

— მოდი, ჩიტის მახე გავაკეთოთ, ჩუმად დავუგოთ ჩიტს.

— ჩიტი ცოდვაა, სჯობს ბებოს საცერი გავუკეთოთ.—თქვა გურამმა.

ჩ ა ს წ ე რ ე თ!—სურათების ქვეშ მოთავსებულ რგოლებში ჩაიწერება ერთნაირი ასოები—**ო, ხ** და **ი**. მივიღებთ შემდეგ სიტყვებს: **ნ ო ხ ი, ჯ ო ხ ი, ქ ო ხ ი** და **თ ო ხ ი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკატერინე ბურჯანაძე, იოსებ გრიშაშვილი, ილია სიხარულიძე, თინათინ თუმანიშვილი, მაყვალა ფრევლიშვილი, ნატალია უნაფძოლშვილი, ზალვა ცხადაძე.

107

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყდის პირველი გვერდის მხატვრობა შესრულებულია შალვა მაყაშვილის მიერ
ყდის მეოთხე გვერდზე „სურათი-გამოცანა“ ეკუთვნის ან. კანდელაკს

ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

„ДИЛА“ – ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 9. 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 სართ. ტელ. 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 77 სტამბის შეკვ. № 1309. ტირაჟი 7000 უე 09755 ფასი 5 ფან.

ტექსტი აწყობილია ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის „მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში, თბილისი რუსთაველის პროს. 42